სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება№68

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თერჯოლა *19 ივნისი 2018 წელი*

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი" წარმოდგენილი დირექტორის მაია თორთლაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, **შპს ,,ლეგა" წარმოდგენილი დირექტორის ლევანი ფორჩხიძის სახით** (შემდგომში მომწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა.

ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება საბავშვო ბაგ-ბაღებში სამუშაოების შესასრულებლად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

2.3 კლასიფიკატორის კოდი - **71320000** - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება სავარაუდოდო შეადგენს **2000 (ორიათასი)** ლარს.

3.2ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის პასუხისმგებელი პირის მიერ.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

5.1.მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

5.2.მიწოდების ადგილი: ქ. თერჯოლა, შოთაძის #6.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს მომსახურების გაწევის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღებას ახორციელებს ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება, მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

7.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს: მიწოდებული საქონლის დასახელება და ღირებულება/ მიღება-ჩაბარების აქტი/ მიწოდებული საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა ან სხვა საგ. დოკუმენტი.

7.3. მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4 ანგარიშსწორება მოხდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს, მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 მიმწოდებელი ვალდებულია, დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა ხელშეკრულბის მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: – ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხას 20%-ის ოდენობით.

11.2 მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

11.3 მხარემ რომელმაც ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 20 %-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

11.4 მხარემ რომელმაც ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი(დარჩენილი) ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყოვნებლივ.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა)თუ მხარისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელს მისგან დამოუკიდბელი მიზეზები გამო არ შეუძლია ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) თუ ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების გამო პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 1% პროცენტს.

გ) თუ მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

დ) თუ მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

ე) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდება,რომ მიმწოდებლის წარმოდგენილი დოკუმენტების ყალბი აღმოჩნდება.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულს სხვა შემთხვევებში.

13. დაუძლეველი ძალა

13.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. გადასახადები და დაბეგვრა

1 ადგილობრივი მომწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, ისაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 20 აგვისტომდე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან.

20. ხელშეკრულების მხარეები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის	შპს „ლეგა"
მუნიციპალური ცენტრი	
მის: ქ. თერჯოლა, შოთაძის ქ.№6	მისამართი: თბილისი, ბოგდან ხმელინიცკის ქ.11
საიდენტიფიკაციო კოდი: 231948863	საიდენტიფიკაციო კოდი: 406204496
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 204931440	ბანკის დასახელება: სს. „ლიბერთი ბანკი"
სახ. ხაზინა: TRESGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022	ანგ. №: GE35LB0113168901695000
- - - - - - - - - - - - - - - - - -	- - - - - - - - - - - - - - - - - -
დირექტორი: ალიკა ციცარიძე	დირექტორი: ლევანი ფორჩხიძე

დანართი №1

1. თერჯოლის №1, №2, №3 საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების ელ. მომარაგების შიგა ქსელის მოწყობის საპროექტო-ხარჯთაღრიცხვა;
2. ღვანკითის ბაღის ჯგუფის და საძინებლის ოთახების, სველი წერტილების მოწყობის საპროექტო-ხარჯთაღრიცხვა;
3. საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღის სახურავის ნაწილობრივი მოწყობის საპროექტო-ხარჯთაღრიცხვა;
4. მეტლახის საბავშვო ბაგა-ბაღის სახურავის ნაწილობრივი მოწყობის და შენობის გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-ხარჯთაღრიცხვა;
5. თერჯოლის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის ორი ჯგუფის ოთახის, ორი საძინებლის იატაკის, ეზოს შესასვლელის მოწყობის საპროექტო-ხარჯთაღრიცხვა;
6. ზდ. სიმონეთის საბავშვო ბაღის შესასვლელი კიბეების, ჯგუფის ოთახის იატაკის, შესასვლელის იატაკისა და ეზოს წინა ხედის შემოღობვის სამუშაოების საპროექტო-ხარჯთაღრიცხვა.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური სამმართველო	შპს „ლეგა“
- - - - - - - - - - - - - - - - - -	- - - - - - - - - - - - - - - - - -
დირექტორი მაია თოთოლაძე	დირექტორი ლევანი ფორჩხიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თერჯოლა 19 ივნისი 2018 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის მიზნით ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ის მიერ მიმდინარე წლის 19 ივნისს განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვაში შპს ,,ლეგას-თან" მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი	მაია თორთლაძე
დირექტორის მოადგილე მეთოდურ ნაწილში	დალი სოფრომაძე
კოორდინატორი	ლალი მაკარიძე
კოორდინატორი	ციალა მემანიშვილი
დირექტორის მოადგილე ფინანსურ ნაწილში	ნანული დევიძე